



**პოლიტიკური ჯგუფების შექმნის ახალი წესის
მხარდაჭერა კიდევ ერთხელ ადასტურებს „ქართული
ოცნების“ პრაქტიკას, საკუთარ ინტერესებზე მოირობოს
კანონმდებლობა**

პოლიტიკური ჯგუფების შექმნის ახალი წესის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ ადასტურებს „ქართული ოცნების“ პრაქტიკას, საკუთარ ინტერესებზე მოირობოს კანონმდებლობა

საპარლამენტო ფრაქცია **„ერთი ოცნებიდან“** გასული დეპუტატების - სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის, მიხეილ ყაველაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, ევა სეფაშვილის, ვიქტორ ჯაფარიძის, ირაკლი (დაჩი) ბერაიას, ბაალ მიქელაძის, დავით ვაჭარავას ინიციატივით პარლამენტში განიხილება რეგლამენტში ცვლილებები, რომლის მიხედვითაც ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრებს, თუ იმავე პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრებს შექმნილი აქვთ ფრაქცია, უფლება აქვთ შექმნან პოლიტიკური ჯგუფი, თუ მათ დატოვეს შესაბამისი პოლიტიკური პარტიის წევრობა.[\[1\]](#) ამ ცვლილებას საპარლამენტო უმრავლესობამ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



პირველი მოსმენით კენჭისყრაზე მხარი დაუჭირა [2] და ის მეორე მოსმენისთვის განსახილველად 2 მარტს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომის დღის წესრიგშია. [3]

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური ჯგუფების საპარლამენტო სტრუქტურის შემოღებისას, ჯერ კიდევ 2021 წლის მაისში, აიკრძალა ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი დეპუტატების მიერ პოლიტიკური ჯგუფის შექმნის შესაძლებლობა, თუ იმავე პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრებს უკვე შექმნილი ჰქონდათ ფრაქცია. [4] ამ ჩანაწერის გამო, ოპოზიციის რამდენიმე დეპუტატს (მათ შორის **ქ. ბერიძე** ოცნებიდან **ქ. გასულ** დეპუტატებს) შეეზღუდათ პოლიტიკური ჯგუფის შექმნის შესაძლებლობა და ისინი პარლამენტში უფრაქციო დეპუტატების სტატუსით სარგებლობენ.

მოცემულობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც **ქ. ბერიძე** ოცნების **ქ. ბერიძე** ფრაქცია დატოვა 9 დეპუტატმა, თუმცა ისინი საპარლამენტო უმრავლესობის შემადგენლობაში დარჩნენ. იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო ჯგუფებს ფრაქციისთვის გათვალისწინებული უფლებებით/პრივილეგიებით (გარდა გარკვეული გამონაკლისებისა) სარგებლობის უფლება აქვთ მინიჭებული, [5] ასევე შეუძლიათ თავიანთ სტრუქტურაში ჰყავდეთ თანამდებობის პირ(ებ)ი, [6] საპარლამენტო უმრავლესობამ ამჯერად მხარი დაუჭირა აღნიშნული დეპუტატების ინიციატივას, რომელიც საპარლამენტო ჯგუფების შექმნაზე არსებულ შეზღუდვას ხსნის.

საია მიიჩნევს, რომ რეგლამენტში დაგეგმილი ცვლილებები კიდევ ერთხელ ადასტურებს მმართველი პოლიტიკური ძალის ნეგატიურ პრაქტიკას, კანონმდებლობა საკუთარი ინტერესების მიხედვით შეცვალოს.

[1] **ქ. ბერიძე** პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ **ქ. ბერიძე** სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის, მიხეილ ყაველაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, ეკა სეფაშვილის, ვიქტორ ჯაფარიძის, ირაკლი (დაჩი) ბერაიას, ზაალ მიქელაძის, დავით კატარავას საკანონმდებლო ინიციატივა, N07-3/290/10, 08.02.2023), ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/legislation/25756>.

[2] **ქ. ბერიძე** ჯგუფის შექმნისთვის დაწესებულ მოთხოვნებში ცვლილებები განხორციელდება **ქ. ბერიძე** საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2023 წლის 22 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KIQqQ1>.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



[3] ანონსი, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომა, 2023 წლის 2 მარტი, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/announcement/2036?local=true>

[4] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 228¹ მუხლის მე-5 პუნქტი.

[5] მათ შორის, საპარლამენტო კვოტები, სასაუბრო დრო, თავისუფალი ტრიბუნა და სხვა.

[6] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 228¹ მუხლის მე-4 პუნქტი.